ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4385556

ნომერი: AR1653456

თარიღი : 03.01.2019

გაცემის თარიღი : 21.02.2019

გაცნობის თარიღი : 22.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა ჭირნახული , მიმდებარედ , (ნაკვეთი 02/046);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ჩინჩალაძე პ/ნ 01001092069
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 77 ბ. 27

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: არ არის მისაღები 2019 წლის 20 თებერვლის მინდობილობ,ა ვინაიდან გაცემულია რევაზ ცირეკიძის, როგორც ფიზიკური პირის მიერ და არა როგორც შპს საბერბის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ . აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შპს „საბერბის“ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენს მიერ განმარტებითი ბარათის ტექსტში ასახული ინფორმაციის თანახმად: "მოგახსენებთ, რომ მოხდა საპროექტო ტერიტორიიდან ელექტროგადამცემი ხაზი N01.00.973-ის გადატანა. ამჟამად, როგორც ფოტოებიდან ჩანს, ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზი აღარ არის". აღნიშნულის დასადასტურებლად საჭიროა განახლდეს საკადასტრო გეგმა სადაც ხაზობრივი ნაგებობა აღარ იქნება დსაფიქსირებული, რაც ავტომატურად აისახება სამსახურის
ელექტრონულ მისამართზე www.tas.ge რუკაზე ავტომატურად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.